ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1540110

ნომერი: AR1255958

თარიღი : 06.10.2014

გაცემის თარიღი : 15.10.2014

გაცნობის თარიღი : 15.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრონშტანტი , (ცაგარელის) N72 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გამყრელიძე პ/ნ 01017041896
- თბილისი ვ.კოტეტიშვილის შეს. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 6 ოქტომბერს #AR1255958 განცხადებით მომართა გიორგი გამყრელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, ქუჩა კრონშტანტი, (ცაგარელის) 72/ ქუჩა ცაგარელი N70–ში შპს "სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.14.022.012) მრავალბინიანი საცხოვრებელი არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2014 წლის 8 სექტემბრის №1464439 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებაში, კერძოდ შეიცვალა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, მათ შორის საერთო ფართის მაჩვენებელი. განმცხადებლის განმარტების თანახმად, საერთო ფართის მაჩვენებელი არ არის 5792.2 კვ.მ და იგი შეადგენს 5350.0 კვ.მ.– ს.

სამასხურმა არქიტექტურულ ნახაზების გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაცია საერთოდ არ ითვალისწინებს სარდაფის ფართობს 442.2 კვ.მ–ის ოდენობით. შესაბამისად მისი მაჩვენებელი ამოღებული უნდა იქნას ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებიდან, რის შემდგომაც საერთო ფართის მაჩვენებელი იქნება 5350.0 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს გიორგი გამყრელიძის 2014 წლის 6 ოქტომბერს #AR1255958 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებაში. კერძოდ საერთო ფართად დაფიქსირდეს – 5350.0 კვ.მ,
ხოლო სარდაფის ფართობი 442.2 კვ.მ. ამოღებული იქნას ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებიდან;

3. 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.